დანართი 1 - ტექნიკური დავალება

პროექტის სახელწოდება: „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“
პროექტის N: 17.2129.9-004.00
მომსახურების შესრულების ვადა: 15.10.2019 – 15.11.2019

საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა ეთიკის საკითხებში ელექტრონული სასწავლო კურსისთვის ვიდეობის, სიტუაციური/რებუსული ილუსტრაციებისა და კომიქსების შექმნა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული პროგრამის ,,ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ იწვევს ტენდერში მონაწილეობის მსურველებს, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ელექტრონული სასწავლო კურსისთვის **ვიდეობის, სიტუაციური/რებუსული ილუსტრაციებისა და კომიქსების** შემუშავების გამოცდილება, მონაწილეობის მისაღებად იწვევს ტენდერში შემდეგი პირობებით:

1. ზოგადი აღწერილობა

2017 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავრობამ დადგენილების სახით პირველად დაამტკიცა საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისთვის უნიფიცირებული საქართველოს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები. გასულ წლებში საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად შემუშავდა სპეციალური ეთიკის სასწავლო კურსი, ასევე გერმანიის მოხელეთა ფედერალურ აკადემიასთან (DBB Akademie) ერთად გადამზადდა და სერტიფიცირება გაიარა ტრენერებმა. ტრენერების მიერ ეთიკის საკითხებში ტრენინგი ჩაუტარდა დაახლ. 600 საჯარო მოსამსახურეს. აღნიშნული კურსს თან სდევდა სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნა. მთავრობის მიერ უნიფიცირებული წესების მიღების შემდეგ, ასევე შეიქმნა საქართველოს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების პირველი კომენტარი. დადგენილების ეფექტიანად და სწორად იმპლემენტაციისთვის, ასევე საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად შეიქმნა ეთიკის პლატფორმა, რომლის მიზანია წელიწადში ორჯერ პრაქტიკაში

არსებული პრობლემებისა თუ შემთხვევების იდენტიფიცირება, მათი განხილვა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. დღეისათვის საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რიცხვი დაახლ. 40.000 მოიცავს, როგორც ცენტრალურ ასევე თვითმმართველობის დონეზე. იმისათვის, რომ სრულად იქნეს უზრუნველყოფილი ეთიკური და კეთილსინდისიერი პროფესიული გარემოს ჩამოყალიბება და საჯარო სამსახურში დასაქმებულ ყველა პირს მიეცეს გადამზადებისა და ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობა, საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით შეიქმნა პირველი ელექტრონული მოდული ეთიკის საკითხებში.

ზემოხსენებული ელექტრონული კურსისთვის უნდა შეიქმნას არაუმეტეს 10 ვიდეო რგოლი. თითოეული ვიდეო-რგოლის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არაუმეტეს 2 წთ-ი/მდე. ვიდეო-რგოლები წარმოდგენილ უნდა იქნეს DVD დისკზე ჩაწერილი.

ვიდეო/ანიმაცია სავარაუდო თემები:

- კურსის რეგისტრაციის გავლის პროცესი/ეტაპები
- დავალების მიცემა და დელეგირება
- მოხელის ერთი სამუშაო დღე კეთილსინდისიერების ჭრილში
- დიალოგი რთულ საუბრებზე
- ბედნიერ და უბედურ თანამშრომელზე
- კომუნიკაციაზე
- სხვა თემატიკა

და სიტუაციური/რებუსული ილუსტრაციები და კომიქსები არაუმეტეს 15:

სიტუაციური/რებუსული ილუსტრაციები და კომიქსები:

- სტრატეგიული დაგეგმვა
- რესურსების გამოყენება
- უკუკავშირის მიცემა
- საჩუქარი
- მოტივაციები
- კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსი
- სამსახურებრივი შეუთავსებლობა
- სხვა თემათიკა

პერსონაჟების შერჩევა/იდენტიფიცირება;

საკვანძო მესიჯების შერჩევა ტიტრებისთვის;

ტექსტის შედგენა გახმოვანებისთვის;

ქრონომეტრაჟის და თემატური გადაბმების კონსტრუირება;

ვიდეო რგოლის საბოლოო სცენარის შემუშავება;

თითოეული სცენის გრაფიკული კონსტრუირება, გრაფიკების ამოძრავება, გახმოვანება, გამხმოვანებლის შერჩევა, ხმის სტუდიის მომსახურება, ფონის მუსიკის შერჩევა (საავტორო უფლებების დაცვით).

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველი და სატენდერო მოთხოვნები

1. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს სასწავლო ვიდეობის, სიტუაციური/რებუსული ილუსტრაციებისა და კომიქსების შექმნის გამოცდილება და წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი მასალა.
2. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ვიდეოს და სიტუაციური/რებუსული ილუსტრაციებისა და კომიქსების საცალო ფასი (დღს გარეშე).
3. შესრულების ვადაა 15 ოქტომბერი - 15 ნოემბერი 2019 წელი